



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

### დისციპლინური საქმე №146/17

-- -- 2017 წლის 16 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №146/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

### 1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ერთ წელზე მეტი დრო გავიდა, რაც მიმდინარეობს მისი სამოქალაქო დავის განხილვა, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის და ნახვის დღეების განსაზღვრის შესახებ. თავდაპირველად საქმეს იხილავდა მოსამართლე -- --, რომელმაც თითქმის ერთი წელი გააჭიანურა პროცესი, მან პირველ სხდომაზე დააკისრა ალიმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ერთი წლის განმავლობაში იზრდებოდა მასთან, დედა კი თვეში ერთხელ მიდიოდა სტუმრად რამდენიმე საათით ან ერთი/ორი დღით. აქედან გამომდინარე, მოსამართლეს ალიმენტის გარდა მალევე უნდა განესაზღვრა ნახვის დღეებიც,

ვინაიდან დაირღვა როგორც ბავშვის, ასევე მამის უფლებები. მოსამართლემ ბავშვის ნახვის პერიოდი არ განსაზღვრა თანასწორი უფლებებით, ბავშვის მისაღებ გარემოში, არამედ კონფლიქტის ეპიცენტრში. საჩივრის ავტორის განმარტებით პროცესი იწელება ვილაცის დაკვეთით, მოსამართლე თავად უნდა იყოს დაინტერესებული თუ რა არის კარგი ბავშვის მომავლისთვის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საჩივრის ავტორი ითხოვს დავის დროულად გადაწყვეტას.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1. 2016 წლის 6 სექტემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, მცირეწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით. (მოსამართლე-- --)**

2016 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქმეში ჩაება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

მოსამართლის მიერ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 16 სექტემბერს.

2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა დროებითი განკარგულების სახით, -- -- არასრულწლოვანი შვილთან ურთიერთობის აკრძალვის შესახებ არ დაკმაყოფილდა. მოპასუხისათვის დამატებით ხარჯების და ალიმენტის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სამოქალაქო საქმეზე №-- მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, დროებითი განკარგულების სახით, -- -- (პ/ნ --) -- -- (პ.ნ. --) სასარგებლოდ დაეკისრა: მცირეწლოვანი შვილის 2014 წლის 11 აგვისტოს დაბადებული -- -- სარჩოს სახით ალიმენტი ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით და დამატებით ხარჯების სახით, ერთჯერადად, 300 (სამასი) ლარის გადახდა;

2016 წლის 15 სექტემბერს -- -- ჩაბარდა სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად, მან სასამართლოს შესაგებელი წარუდგინა 2016 წლის 20 სექტემბერს.

შემდგომი სხდომა გაიმართა 2016 წლის 10 ოქტომბერს, მხარეებს დაევაალათ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მიერ გადასაწყვეტ საკითხზე შესაბამისი კითხვების წარდგენა, სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

2016 წლის 7 ნოემბრის განჩინების საფუძველზე საქმის წარმოება შეჩერდა და საქმე 2016 წლის 9 ნოემბერს გადაიგზავნა სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

2016 წლის 25 ნოემბერს საქმე დაბრუნდა სასამართლოში, 2016 წლის 28 ნოემბრის განჩინებით კი საქმის წარმოება განახლდა.

2016 წლის 29 ნოემბერს მოსამართლის მიერ მოხდა მტკიცებულებების გამოთხოვა. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ დაევალა წარმოადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, -- -- და -- -- იმყოფებიან თუ არა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ კერძოდ, ფსიქონევროლოგიურ დეპრესიაში აღრიცხვაზე. (პასუხი სასამართლოს გადაეგზავნა 14.12.2016 წელს.)

სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2016 წლის 22 დეკემბერს, რომელიც გადაიდო 2017 წლის 10 იანვარს.

2017 წლის 10 იანვარს -- -- წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა -- -- საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის, -- -- საცხოვრებელი ადგილი. (შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი -- -- სასამართლოს წარუდგინა 2017 წლის 30 იანვარს)

2017 წლის 10 იანვარს სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა, ხოლო შემდგომი გადაინიშნა 2017 წლის 23 იანვარს.

2017 წლის 23 იანვარს გამართული სასამართლო სხდომა გადაიდო 2017 წლის 10 თებერვალს, რომელიც გადაინიშნა 2017 წლის 24 მარტს, ხოლო შემდგომ გადაინიშნა 2017 წლის 5 ივნისს.

2017 წლის 24 მარტის განჩინებით, მოსარჩელე -- -- (შეგებებული სარჩელით) შუამდგომლობა დროებითი განკარგულებით შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, -- -- (პირადი №--) განესაზღვრა არასრულწლოვან შვილთან 2014 წლის 11 აგვისტოს დაბადებულ -- -- ურთიერთობისათვის დროის მონაკვეთი ყოველი კვირის ორშაბათი დღე 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, სამშაბათი დღე 11:00 საათიდან 15:00 საათამდე და კვირა დღე 11:00 საათიდან 15:00 საათამდე დედის, -- -- თანდასწრებით.

2017 წლის 5 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე, შემდგომი პროცესის დროდ განისაზღვრა 2017 წლის 12 ივლისი.

2017 წლის 5 ივნისის განჩინებით ფსიქოლოგს გამოსაკვლევად დაესვა შეკითხვები.

**2.2.** 2017 წლის 15 ივნისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განტვირთვის მიზნით, სამოქალაქო საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

მოსამართლე -- -- 2017 წლის 12 ივლისს გამართა სხდომა, ხოლო შემდგომი სხდომა მოსამართლის მიერ ჩაინიშნა 2017 წლის 20 ოქტომბერს.

2017 წლის 20 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა -- --

წარადგინა წერილობითი შუამდგომლობა დროებით განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესახებ. შესაბამისად სხდომა გადაიდო 2017 წლის 23 ოქტომბერს.

2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით, ბავშვის ნახვის დღეები სხვაგვარად განისაზღვრა, -- -- და -- -- შუამდგომლობები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია -- -- მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან იმ დროისათვის ყველანაირი შემოსავლის შესახებ. ასევე, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია -- -- მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან იმ დროისათვის ყველანაირი შემოსავლის შესახებ. გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტიდან -- -- (3/5 --) ყოველთვიური შემოსავლის (ხელფასი, პრემია და სხვა დანამატები) შესახებ. შპს" ინფინიტიდან" გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია -- -- (3/5 --) ყოველთვიური შემოსავლის (ხელფასი, პრემია და სხვა დანამატები) შესახებ.

სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაინიშნა 2017 წლის 4 დეკემბერს. შემდგომი სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 24 იანვარს. ამავე სხდომაზე, მოსამართლე -- -- -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა საქმის აცილებისა და სხვა მოსამართლისათვის გადაცემის თაობაზე.

**2.3. 2018 წლის 6 დეკემბრიდან, სამოქალაქო საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --**

2018 წლის 24 იანვარს ჩანიშნული სხდომა, სხდომების ჩატარებისათვის განკუთვნილი გრაფიკის გადატვირთულობის გამო გადაიდო 2018 წლის 15 თებერვალს. მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ სხდომაში. იმის გამო, რომ -- -- არ დაეთანხმა სხდომის არასამუშაო დროს (18:00 საათის შემდგომ) საქმის გაგრძელებას, სხდომის განხილვა გადაიდო 2018 წლის 16 თებერვალს.

2018 წლის 16 თებერვლის სხდომაზე, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება 2018 წლის 27 თებერვალს.

2018 წლის 27 თებერვალს გამართულ სხდომაზე საქმის განხილვა დასრულდა, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. არასრულწლოვანი -- -- საცხოვრებელი ადგილად განისაზღვრა დედის -- -- საცხოვრებელი ადგილი. მოპასუხე -- -- არასრულწლოვანი შვილის 2014 წლის 11 აგვისტოს დაბადებული -- -- სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის სახით, ყოველთვიურად 250 ლარის გადახდა, 2016 წლის 6 ივნისიდან, ბავშვის სრულწლოვანებამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე; შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს -- -- უარი ეთქვა -- -- საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის

თაობაზე. გაუქმდა სასამართლოს მიერ 2016 წლის 16 სექტემბრის, 2017 წლის 24 მარტის, 2017 წლის 23 ოქტომბრის და 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებებით მიღებული დროებითი განკარგულებები.

2018 წლის 20 აპრილს, -- -- მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

**2.4.** 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა 380 სამოქალაქო საქმე, ხოლო ამათგან დაასრულა 263 სამოქალაქო საქმე (69%).

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

-- -- 2017 წლის 16 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლის -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

### **4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში

განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

ამდენად, ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს საქმის განხილვის ხანგრძლივობა, მოსამართლის დატვირთულობა, მოსამართლის ხელში არსებული რესურსების საკმარისობა, ასევე ზიანი, რომელიც მიადგა მხარეს საქმის დაყოვნების შედეგად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან ერთ-ერთ დავის საგანს წარმოადგენს ალიმენტის დაკისრება, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ვადა იქნება 1 თვე და არა 2 თვე, ხოლო რთული კატეგორიის შემთხვევაში 5 თვე. 2016 წლის 6 სექტემბერს საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --. სარჩელი მოპასუხეს გაეგზავნა 2016 წლის 13 სექტემბერს და ჩაბარდა 2016 წლის 15 სექტემბერს. ამდენად, სწორედ ამ თარიღიდან (15.09.2016) უნდა მოხდეს სამოქალაქო საქმისათვის კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა. - -- მიერ კონკრეტულ საქმეზე ჩატარებული სხდომების გრაფიკი გამოიყურება შემდეგნაირად: 2016 წლის 9 სექტემბრის მოსამზადებელი სხდომა (საქმეში მოსამართლემ ჩააბა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო); 2016 წლის 16 სექტემბრის მოსამზადებელი სხდომა (განკარგულებით განისაზღვრა ბავშვის ნახვის პერიოდი); 2016 წლის 10 ოქტომბრის მოსამზადებელი სხდომა (მხარეებს დაევალა კონკრეტული დოკუმენტაციის წარდგენა); 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა და საქმე გადაიგზავნა ექსპერტიზის ბიუროში; 2016 წლის 28 ნოემბერს განახლდა საქმის წარმოება (21 დღის შემდგომ); 2016 წლის 29 ნოემბერს მოხდა მტკიცებულებების გამოთხოვა, რომელიც სასამართლოს გადაეგზავნა 2016 წლის 14 დეკემბერს, (15 დღის შემდგომ); 2016 წლის 22 დეკემბრის მოსამზადებელი სხდომა; 2017 წლის 10 იანვრის მოსამზადებელი სხდომა (სხდომაზე-- -- წარადგინა შეგებებული სარჩელი, ხოლო შესაგებელი მოპასუხემ წარადგინა 2017 წლის 30 იანვარს); 2017 წლის 23 იანვრის მოსამზადებელი სხდომა; 2017 წლის 10 თებერვლის მოსამზადებელი სხდომა; 2017 წლის 24 მარტის მოსამზადებელი სხდომა (-- -- შუამდგომლობა, დროებითი განკარგულებით შეილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა);

2017 წლის 5 ივნისის მოსამზადებელი სხდომა (განჩინებით, ფსიქოლოგს გამოსაკვლევად დაესვა შეკითხვები). შემდგომი სხდომა მოსამართლე -- -- მიერ გადაინიშნა 2017 წლის 12 ივლისს. მოსამართლე -- -- წარმოებაში სამოქალაქო საქმე იხილებოდა 9 თვის განმავლობაში. მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებებიდან არ იკვეთება საქმის უსაფუძვლო ბრალეული გაჭიანურების ნიშნები, რადგან მოსამართლე -- -- მის მიერ ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარდა არაერთი საპროცესო მოქმედება, მიღებულია არაერთი განჩინება, ამასთან გარკვეული პერიოდით მოხდა საქმის შეჩერება და მტკიცებულებების გამოთხოვა, რაც ასევე აჩერებს საქმის განხილვისათვის განსაზღვრულ ვადას. განსახილველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის ვადის უსაფუძვლო ბრალეულ გაჭიანურებას ადგილი არ ქონია. ამასთან, ზემოთხსენებული სტატისტიკისა და მოსამართლის -- -- დატვირთულების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საქმეთა განხილვის ვადები ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად.

#### **5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №146/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი